აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირებას აკადემიური საბჭოს
2014 წლის 6 ოქტომბრის №104/2014 დადგენილების საფუძველზე
ახორციელებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება:
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია (MA)
Master of Arts (MA) in Work and Organizational Psychology (MA).

პროგრამის ანალოგი

- *University of Illinois–Urbana Champaign/graduate programme inIndustrial-Organizational Psychology..* www.psych.uiuc.edu./divisions/io.php
- lomonosovis saxelobis moskovis saxelmwifo universiteti www.psy.msu.ru/educat/magistr/organiz.htm
- New York University-Masters in Industrial/Organizational Psychology www.psych.nyu.edu/programs/ma/io.html
- *Massachusetts School of Professional Psychology* http://www.mspp.edu/academics/degree-programs/organizational-psych-ma/default.asp
- *The George Washington University, The Department of Organizational Sciences & Communication* http://www.gwu.edu/~orgsci/curriculum.htm
- *ARGOSY UNIVERSITY, ATLANTA INDUSTRIAL ORGANIZATIONAL PSYCHOLOGY PROGRAMS:* http://www.argosy.edu/colleges/ProgramDetail.aspx?ID=2162; http://www.argosy.edu/colleges/ProgramDetail.aspx?ID=2162&section=course-list
- და სხვ.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ფსიქოლოგიის მაგისტრი შრომისა და ორგანიზაზიული ფსიქოლოგიის სპეციალობით. Master of Arts (MA) in Work and Organizational Psychology (MA).

3. პროგრამის მოცულობა – 120 კრედიტი

4. სწავლების ენა – ქართული

5. **სამაგისტრო პროგრამის მიზანი.** ორგანიზაციის ფსიქოლოგია უდიდესი სამეცნიერო და ამავდროულად პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი დარგია. შესაბამისად, პროგარამის მიზანია მოამზადოს მკვლევარები და პრაქტიკოსი ფსიქოლოგები შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, რომელთაც, სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით, შეეძლებათ ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების, ადამიანსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთმქმედების სისტემური ანალიზი და ადამიანური რესურსის ეფექტურობის პროექტირება. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებმა გაიღრმავონ ცოდნა შემდეგი მიმართულებით: პერსონალის შერჩევისა და შეფასების მეთოლოგიური პრინციპები, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს ანალიზი, ორგანიზაციული კულტურა დაღირებულებები, პერსონალის სოციალიზაცია, პროფესიული სტრესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესები ორგანიზაციაში, საკომპენსაციო სისტემისა და სამოტივაციო პოლიტიკის დაგეგმვა, ორგანიზაციული და მარკეტინგული კვლევა, გუნდური მუშაობის პრინციპები, ფსიქომეტრული ანალიზი, რეკლამის ფსიქიოლოგია და სხვა. პროგრამა იძლევა **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დარგში კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენციების შეძენისა და პროფესიული ჩვევების სრულყოფის საშუალებას.**

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

აუცილებელი საკავალიფიკაციო მოთხოვნები

- ბაკალავრის ხარისხი
- ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნა B1 დონეზე.

სასურველია (არასავალდებულო მოთხოვნა):

მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში

ერთიანი საფაკულტეტო გამოცდები უნდა მოიცავდეს გამოცდას(ებს):

- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია. გამოცდის ფორმატს განსაზღვრავს და საგამოცდო პროგრამას ადგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. გამოცდას იბარებს მიმართულების პროფესორებით დაკომპლექტებული კომისია.
- უცხოური ენა (თსუ უცხო ენების ფაკულტეტი ან საგამოცდო ცენტრი)

7. **სწავლის შედეგი**

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრი გაიღმავებს ცოდნას შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, გაეცნობა უახლეს ლიტერატურასა და კვლევებს შრომისა და ორგანიზაციის ფსქოლოგიის ცალკეულ მიმართულებაში, შეისწავლის ორგანიზაციული კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს, შეიძენს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე კონტექსტში. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი შეძლებს ორგანიზაციისა და ორგანიზაციული ქცევის ანალიზს სამ განსხვავებულ კონცეპტუალურ დონეზე: 1. ორგანიზაციის სტრუქტურა და ფუნქციონირება, 2. ჯგუფის შემადგენლობა და ურთიერთობა, 3. პიროვნება და ორგანიზაციული ქცევა. სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს კვლევითი პოტენციალის განვითარებას ამ დონეების ურთიერთქმედების შესასწავლად და სისტემური შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად. მაგისტრს შეეძლება იკვლიოს, გაანალიზოს კონტექსტური ცვლადების გავლენა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე, ჯგუფის კომპოზიციისა და ურთიერთობების კავშირის კონტექსტურ და სტრუქტურულ ცვლადებთან. ინდივიდულური ქცევისა და პიროვნებების შესწავლა კონტექსთან, სტრუქტურასთან და ჯგუფურ ქცევასთან მიმართებაში..

კომპეტენციები: სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტები შეიძენენ შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა:

- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, აგრეთვე, მათი გამოყენების პრინციპების შესახებ ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევის წარმართვა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია;
- ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება (ორგანიზაციული კვლევა, ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაცია, პრობლემათა დაძლევის სტრატეგიების შემუშავება, პერსონალის შერჩევის მეთოდების აპრობაცია ტესტის კლასიკური თეორიის ბაზაზე და სხვა).

დასკვნის უნარი:

- შრომისა და ორგანიზაციის სფეროსთვის აქტუალური საკითხების პრობლემური გააზრება, ტრადიციული და ახალი მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
  - ***კომუნიკაციის უნარი*** – ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა
  - **ცოდნის ტრანსფერის,** მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების უნარები.
  - ***სწავლის უნარი:*** არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა.

ღირებულებები:

პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე:

- პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვა (კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარდგენა და სხვა);

- ღირებულებათა (შრომითი განწყობები და ღირებულებები, ორგანიზაციული ღირებულებები და კულტურა) დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.

8. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები:

- სალექციო, ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- დისკუსია, დებატები
- ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
- შემთხვევის ანალიზი
- როლური და სიტუაციური თამაშები
- წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი (თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება).
- პრაქტიკული მეთოდები – სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე მენტორის ხელმძღვანელობით ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს, იძენს გამოცდილებას და იმყარებს ცოდნას. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს საშუალება აქვს გაიროს სტაჟირება/პრაქტიკა ადამიანური რესურსრსის მენეჯმენტის ცენტრში, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, შ.პ.ს „მობიტელსა“ და შპს ,,PSP“–ში.

9. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება თითოეული საგნის სილაბუსში აღწერილი მეთოდით. სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. პროგრამის ფარგლებში **ძირითადად** გამოყენებულია შეფასების შემდეგი ფორმები:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები
- შუალედური გამოცდა
- საბოლოო გამოცდა

სილაბუსებში დასკვნით გამოცდასთან ერთად გათვალისიწნებულია შუალედური შეფასებები. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

10. სასწავლო გეგმა– სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა.

კრედიტები (ESTS)

დისციპლინები[1]	ESTS
<u>**შემოდგომა -I** სემესტრი</u>	
1. ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები	5
2. ორგანიზაციული განვითარება	5
3. PR ორგანიზაციაში	5
4. ტრენინგი და განვითარება	5
5. პროფესიული შრომითი განწყობები	5
6. ფსიქომეტრია	5
7. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები.	sul 30

[1] ყველა შეთვაზებული კურსი არჩევითია. არჩევის პრინციპები ოთხი ძირითადი მოდულის მიხედვით ჩამოყალიბებულია ფორმა 1-ში. თითოეულ სემესტრში შეთავაზებული კურსებიდან მაგისტრანტმა უნდა აიღოს 30 კრედიტი, სულ სამგისტრო პრგრამაში - 120 კრედიტი.

შემოდგომა - III სემესტრი 1. პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე) 2. პრაქტიკული ინტელექტი 3. პერსონალი შერჩევის თანამედროვე მოდელები _ შეფასების ცენტრი 4. პროექციული ფსიქოდიაგნოსტიკა 5. მარკეტინგული კვლევები 6. სკალირების მეთოდი 7. რეგრესიული ან ფაქტორული ანალიზი 8. პრაქტიკა	5 5 5 5 5 5 5 5 sul 30
გაზაფხული - II სემესტრი 1. ორგანიზაციული სტრუტურა 2. ორგანიზაციის კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები 3. პროფესიული კოგნიცია 4. სამუშაოს აღწერისა და ანალიზის მეთოდები („The Job Analisis Kit –JAK”- ის მაგალითზე) 5. რეკლამის ეფექტურობის შეფასების მეთოდები 6. მონაცემთა ანალიზი SPSS – ის საშუალებით 7. გუნდური მუშაობის ფსიქოლოგია 8. სტატისტიკა 9.ორგანიზაციული კულტურა	5 5 5 5 5 5 5 5 5 sul 30
გაზაფხული - IV სემესტრი სამაგისტრო შრომა (კვლევითი პროექტი)	30 sul 30

11.სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ხელმზრვანელი: ასოცირებული პროფესორი. ი. კუტალაძე, თანახელმძღვანელი: ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდიტი გ. ქირია (იხ. თანდართული CV; დანართი N1)

12. დასაქმების სფეროები. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრს აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში:

- კერძო სტრუტურა, სახელმწიფო უწყება, რომელთა ინტერესები მოიცავს ორგანიზაციული განვითრების, ადამიანური რესურსის მართვის, ჯგუფების ეფეტურობის პროექტირების, პერსონალის შერჩევისა და შეფასების სისტემების შესწავლასა და დაგეგმვას;
- საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანური რესურსის მართვისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის საკითხებზე;
- გამოყენებითი ხასიათის კვლევაზე ორიენტირებული საკონსულტაციო ორგანიზაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები და ტრენინგ ცენტრები;
- არასამთვარობო ორგანიზაციები.

პროგრამის კურსდამთვარებულმა შეიძლება იმუშავოს შემდეგ პოზიციებზე: ორგანიზაციის ფსიქოლოგი, ადამიანური რესურსის მენეჯერი, პერსონალის შერჩევის მენეჯერი, პერსონალის შეფასების მენეჯერი, ტრენიგისა და განვითარების მენეჯერი, ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტი და სხვა.[2]

[2] ძალიან მაღალია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი. პროგრამის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი წარმატებით მუშაობს საჯარო ორგანიზაციებსა და კერძო სტრუტურაში.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ია კუტალაძე, ასოცირებული პროფესორი; თანახელმძღვანელი გივი ქირია, ფსიქოლოგიის დოქტორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)											
90 კრედიტი (ECTS)+სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)											
ოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
				ლექ ცია– პრაქ ტიკ	შუა ლედ ური გამო	დასკ ვნით ი			[illegible]	[illegible]	

			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი								
1	ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები	5	8	30	60	15	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*ი.კუტალაძე*
2	ორგანიზაციული განვითარება	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		*გ.გოროშიძე*
3	ორგანიზაციის დიზაინი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	*გ.გოროშიძე*
4	პროფესიული კოგნიცია	5	15	28	40	25	15	2	წინაპირობის გარეშე		✓	*გ.ქირია*
5	ორგანიზაციული კულტურა	5	15	25	40	25	15	2	წინაპირობის გარეშე		✓	*თ გოგიშვილი*
6	დ- ორგანიზაციაში	5	15	28	50	15	15	2	წინაპირობის გარეშე	✓		*ზ.ბიგვავა*
	მოდული 1. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია **** მაგისტრანტმა I მოდულში შეთავაზებული 30 კრედიტიდან უნდა აიღოს ნებისმიერი 20 კრედიტ***											
7	ორგანიზაციული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები ** იკითხება სხვა სამაგისტრო პროგრამებშიც*	5	15	28	30	40	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	*ი.კუტალაძე*
8	პერსონალის შერჩევისა და შეფასების თანამდროვე მოდელები - შეფასების ცენტრი	5	15	28	50	20	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*თ ბოკუჩავა*
9	სამუშაოს აღწერისა და ანალიზის მეთოდები („თჰე ჟობ ნალისის იტ –ჟ ”-ის მაგალითზე)	5	15	30	54	12	12	2	წინაპირობის გარეშე		✓	*თ ლიპატრელიანი*

10	პროექციული ფსიქოდიაგნოსტიკა	5	10	30	58	15	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*მ. ელბაქიძე*
11	პიროვნების საკვლევი მეთოდები (ფრაიბურგის პიროვნების კითხვარის მაგალითზე)	5	18	12	54	20	20	1	წინაპირობის გარეშე	✓		*ს. დოლიძე*
12	მარკეტინგული კვლევები	5	15	30	48	20	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*გ. ცქიტიშვილი*
13	რეკლამის ეფექტურობის შეფასების მეთოდები	5	15	30	47	-	30	3	წინაპირობის გარეშე		✓	*მ. რობაქიძე*
14	სკალირების მეთოდი ** იკითხება სხვა სამაგისტრო პროგრამებშიც*	5	15	30	27	16	8	4	წინაპირობის გარეშე	✓		*რ. ჯორბენაძე*
	მოდული 2. კვლევის მეთოდები ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში **** მაგისტრანტმა II მოდულში შეთავაზებული 40 კრედიტიდან უნდა აიღოს ნებისმიერი 35 კრედიტი***											
16	ფსიქომეტრია ** იკითხება სხვა სამაგისტრო პროგრამებზეც*	5	10	30	65	10	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*იკუტალაძე*
17	სტატისტიკა ** იკითხება სხვა სამაგისტრო პროგრამებშიც*	5	15	30	30	10	10	5	წინაპირობის გარეშე		✓	*ნ. ჯავახიშვილი*
18	მონაცემთა ანალიზი შ შშ-ის საშუალებით ** იკითხება სხვა სამაგისტრო პროგრამებშიც*	5	15	31	56	8	13	2	წინაპირობის გარეშე		✓	პ. ზარდიაშვილი

	მოდული 3. ორგანიზაციული კვლევა, შეფასება და სტატისტიკა **** მაგისტრანტმა III მოდულში შეთავაზებული 20 კრედიტიდან უნდა აიღოს 15 კრედიტი.***											
19	პრაქტიკული ინტელექტი	5	15	30	45	15	18	2	წინაპირობის გარეშე	✓		*ე. ოყროშიძე*
20	ტრენინგი და განვითარება	5	10	28	60	15	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*მ. ელბაქიძე*
21	გუნდური მუშაობის ფსიქოლოგია	5	13	30	40	15	25	2	წინაპირობის გარეშე		✓	*მ.კალანდარიშვილი*
22	პროფესიული შრომითი განწყობები	5	30	15	40	20	20	2	წინაპირობის გარეშე	✓		*გ.ქირია*
23	დევიაციური ქცევა	5	15	33	53	8	13	3	წინაპირობის გარეშე	✓		*ვ. ნადარეიშვილი*
24	ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურა	5	15	15	65	10	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		*ლ სურმანიძე*
25	ორგანიზაციული ცვლილებების მართვა	5	15	15	65	10	10	2		✓		*მ.გაბაშვილი*
26	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	15	15	65	10	10	2		✓		
	ოდული 4. პიროვნება და ჯგუფი ორგანიზაციაში. **** მაგისტრანტმა IV მოდულში შეთავაზებული 30 კრედიტიდან უნდა აიღოს ნებისმიერი 15 კრედიტი***											
27	პრაქტიკა	**5**								✓	✓	
28	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									✓	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

13. დამატებითი ინფორმაცია

ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული და შესრულებული რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის ჩამონათვალი:

- სადაზღვევო აგენტის შერჩევის პროცედურის ვალიდიზაციის საკითხისათვის (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- შრომითი კმაყოფილების პიროვნული დეტერმინანტები (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- განწყობის მაანტიციპირებელი მოქმედება ფიგურის გეშტალტის შექმნაში (ხელმძღვანელი მაია კალანდარიშვილი)
- ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების კვლევა არასამთავრობო ორგანიზაციებში (ხელმძღვანელი ნოდარ სარჯველაძე)
- სიმულაციური მეთოდის "საფოსტო ყუთის" გამოყენება მენეჯერთა შერჩევისათვის (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- პროფესიული სტრესის კვლევის საკითხისათვის (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- ყურადღების ფაქტორი რეკლამაში (ხელმძღვანელი მაია რობაქიძე)
- ქცევის კანანზომიერებები ეკონომიკური გარემოსა და ორგანიზაციული ცვლილებების კონტექსტში (ხელმძღვანელი გოგი გოროშიძე)
- ინტელექტის პრედიქტული ვალიდობის საკითხი პერსონალის შერჩევაში (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- ორგანიზაციული კულტურის კვლევა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- ჩვევის შემუშავების ინდივიდუალური თავისებურებანი (ხელმძღვანელი გივი ქირია)
- ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდიკათა სისტემა ექიმის პროფესიისათვის (ხელმძღვანელი მაია კალანდარიშვილი)
- სამუშაო მახასიათებლების მიმართება შრომით კმაყოფილებასთან (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)

- ვერბალური ასოციაციის მეთოდი სავაჭრო მარკის რეიტინგის განსაზღვრაში. (ხელმძღვანელი მაია რობაქიძე)
- კარიერის მენეჯმენტი და შრომითი კმაყოყოფილება (ხელმძღვანელი ია კუტალაძე)
- და სხვა

სამაგისტრო შრომების შეფასების კრიტერიუმი:

- პრობლემის აქტუალობა
- პრობლემის შესწავლის მეთოდური საშუალებების შემუშავება და გამოყენება
- ემპირული კვლევის დაგეგმვა და განცორციელება
- სტატისტიკური ანალიზი
- დასკვნების დასაბუთებულობა
- პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ ტექნიკური ბაზა

- კოგნიტური პროცესების შესასწავლი ტექნიკური საშუალებები და მეთოდური სისტემები;
- პიროვნების პროფესიონალური შეფასების მეთოდები;
- ორგანიზაციული კვლევის მეთოდები;
- კომპიუტერული ტექნიკა (5)
- მაგისტრანტთა პროფესიული პრაქტიკა **ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრში, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, „PSP" და შპს„ მობიტელში"** (იხ. დანართი – თანამშრომლობის ხელშეკრულება)